

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა
და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

ოქმი N 5

ქ.ვანი თავისუფლების N65

16 თებერვალი 2018 წელი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიგა გოგიბერიძე, დავით ხარძეიშვილი, მალხაზ ცერცვაძე, შოთა გიორგაძე, გია ხარაბაძე, სანდრო ხურციძე, აპოლონ რამიშვილი.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: ბიჭიკო პაიკიძე, პაატა ხურციძე, რობიზონ ფუტყარაძე, დავით ადეიშვილი, გია ოჩხიკიძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

დანართი N1

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი - **ზვიად კაპანაძე.**

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - **გიგა გოგიბერიძე. (კომისიის თავმჯდომარე)**

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**

დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის სოფ. ტობანიერში მდებარე 4500 კვმ სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (ს/კ 31.04.21.212 კალისტრატე ცინცაძის სახლ მუზეუმი) ა(ა)იპ „ვანის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრისთვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს: ზვიად კაპანაძე

2. სხვადასხვა.

გადაწყვეტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს :

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსმა ზვიად კაპანაძემ კომისიის წევრებს წარმოუდგინა განგარკულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის სოფ. ტობანიერში მდებარე 4500 კვმ სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (ს/კ 31.04.21.212 კალისტრატე ცინცაძის სახლ მუზეუმი) ა(ა)იპ „ვანის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრისთვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ და განმარტა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართვულობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-6 პუნქტებისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 22-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად.

კომისიის თავმჯდომარემ და წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი საკითხს.

გადაწყვეტეს:

დამტკიცდეს „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის სოფ. ტობანიერში მდებარე 4500 კვმ სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (ს/კ 31.04.21.212 კალისტრატე ცინცაძის სახლ მუზეუმი) ა(ა)იპ „ვანის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრისთვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემა.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად
/დანართი N2/

კომისიის გადაწყვეტილებით დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხები მოწონებულია კომისიის მიერ და საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე დასატანად.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გიგა გოგბერიძე

ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხების

და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე